



წერილის ნომერი: 3/8243213
თარიღი: 22/07/2021

ადრესატი:

ნინო მაღლაკელიძე
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-საფინანსო სახაზინო განყოფილება-განყოფილების უფროსი

ინფორმაცია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის დამტიკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 8 018.9 ათასი ლარი, (დანართი N 1) საბიუჯეტო წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობის სხვადასვა განკარგულებებით სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 8 485.7 ათასი ლარი, აქედან მიზნობრივი ტრანსფერის სახით 358.4 ათ. ლარი (მოსწავლეთა ტრანსპორტირება) და კაპიტალური ტრანსფერის სახით - 8 127.3 ათასი ლარი მ. შ. საქ. რეგ. განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოიყო 5 387.3 ათ. ლარი, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად 1 200.0 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერი პროგრამის განსახორციელებლად 890,0 ათ. ლარი და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 650,0 ათ. ლარი. დანართი N 1

| დასახელება | 2021 წლის დამტიკიცებული ბიუჯეტი | | | 2021 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი | | | 2021 წლის იანვარ-ივნისის გვემა | | | 2021 წლის იანვარ-ივნისის შესრულება | | | გვემა შესრულების % |
|---|---------------------------------|------------------------|----------------------|-------------------------------|------------------------|----------------------|--------------------------------|------------------------|----------------------|------------------------------------|------------------------|----------------------|--------------------|
| | მათ შორის | | | მათ შორის | | | მათ შორის | | | მათ შორის | | | |
| | სულ | სახელმწიფო ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| შემოსულობები | 8 018,9 | 140,0 | 7 878,9 | 16 919,9 | 9 041,0 | 7 878,9 | 8 472,0 | 4 499,6 | 3 972,4 | 6 914,8 | 2 540,0 | 4 374,9 | 81,6 |
| გადასახადები | 6 633,9 | 0,0 | 6 633,9 | 6 628,4 | 0,0 | 6 628,4 | 3 455,1 | 0,0 | 3 455,1 | 4 061,4 | 0,0 | 4 061,4 | 117,5 |
| ქონების გადასახადი | 1 100,0 | 0,0 | 1 100,0 | 1 100,0 | 0,0 | 1 100,0 | 200,0 | 0,0 | 200,0 | 1 291,7 | 0,0 | 1 291,7 | 645,8 |
| არასაბიუჯეტო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 900,0 | 0,0 | 900,0 | 900,0 | 0,0 | 900,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 4,3 | 0,0 | 4,3 | |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 5 533,9 | | 5 533,9 | 5 528,4 | | 5 528,4 | 3 255,1 | | 3 255,1 | 2 769,7 | | 2 769,7 | 85,1 |
| გრანტები | 140,0 | 140,0 | 0,0 | 8 625,7 | 8 625,7 | 0,0 | 4 201,8 | 4 201,8 | 0,0 | 2 242,7 | 2 242,7 | 0,0 | 53,4 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 140,0 | 140,0 | | 498,4 | 498,4 | | 428,9 | 428,9 | | 428,6 | 428,6 | | 99,9 |

| | | | | | | | | | | | | | |
|--|---------|-----|---------|---------|---------|---------|---------|---------|-------|---------|---------|-------|-------|
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | 0,0 | | | 5 387,3 | 5 387,3 | | 2 798,9 | 2 798,9 | | 1 356,2 | 1 356,2 | | 48,5 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 0,0 | | | 890,0 | 890,0 | | 426,0 | 426,0 | | 120,0 | 120,0 | | 28,2 |
| მდალე მთიანი დასახლებების განვითარების ფონდი | 0,0 | | | 650,0 | 650,0 | | 210,0 | 210,0 | | 0,0 | | | 0,0 |
| საქციკლოტური ტრანსფერი | | | | 1 200,0 | 1 200,0 | | 337,9 | 337,9 | | 337,9 | 337,9 | | 100,0 |
| სხვა შემოსავლები | 1 215,0 | 0,0 | 1 215,0 | 1 635,8 | 415,3 | 1 220,5 | 800,1 | 297,8 | 502,3 | 564,4 | 297,3 | 267,2 | 70,5 |
| პროცენტები | | | | | | | | | | 1,2 | | 1,2 | |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 70,0 | | 70,0 | 70,0 | | 70,0 | 12,0 | | 12,0 | 15,4 | | 15,4 | 128,6 |
| შემოსავალი მიწის იჯარა და მართვაში (უზურ ფრუქტი, ქირავენობა და სხვა) გადაცემიდან | 45,0 | | 45,0 | 45,0 | | 45,0 | 22,6 | | 22,6 | 11,4 | | 11,4 | 50,4 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 5,0 | | 5,0 | 10,5 | | 10,5 | 2,6 | | 2,6 | 16,6 | | 16,6 | 636,7 |
| მოსაკრებელი დასახლებულ ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 45,0 | | 45,0 | 45,0 | | 45,0 | 22,6 | | 22,6 | 26,4 | | 26,4 | 117,0 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 1 050,0 | | 1 050,0 | 1 050,0 | | 1 050,0 | 442,5 | | 442,5 | 196,1 | | 196,1 | 44,3 |
| წინაწელს გადარიცხული და მიმდინარე წელს უკან დაბრუნებული სახსრები | 0,0 | | | 415,3 | 415,3 | | 297,8 | 297,8 | | 297,3 | 297,3 | 0,0 | 99,8 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 30,0 | 0,0 | 30,0 | 30,0 | 0,0 | 30,0 | 15,0 | 0,0 | 15,0 | 46,4 | 0,0 | 46,4 | 309,0 |

| | | | | | | | | | | | | | |
|------------------------|------|-----|------|------|-----|------|-----|-----|-----|------|-----|------|-------|
| მართ | | | | | | | | | | | | | |
| ადი აქტივები | 15,0 | | 15,0 | 15,0 | | 15,0 | 7,5 | | 7,5 | 37,5 | | 37,5 | 499,6 |
| არაწარმოებული აქტივები | 15,0 | 0,0 | 15,0 | 15,0 | 0,0 | 15,0 | 7,5 | 0,0 | 7,5 | 8,9 | 0,0 | 8,9 | 118,4 |
| მიწა | 15,0 | | 15,0 | 15,0 | | 15,0 | 7,5 | | 7,5 | 8,9 | | 8,9 | 118,4 |

აღნიშნული ცვლილებების გამო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2021 წლის წლიური შემოსულობები დღეის მდგომარეობით განისაზღვრება 16 919,9 ათასი ლარი, ხოლო მიმდინარე წლის იანვარ-ივნისის თვის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 8 471,9 ათასი ლარით, ფაქტიურად მუნიციპალიტეტმა განვლილ ექვს თვეში მიიღო 6 914,8 ათასი ლარის შემოსულობები, ექვსი თვის შემოსულობების გეგმა შესრულებულია 81,6 %-ით, ამასთან გასული წლის შესაბამისი პერიოდის შემოსულობებს აღემატება 2 017,4 ათასი ლარით (2020 წლის ექვსი თვის ფაქტიური შემოსულობები განისაზღვრებოდა 4 897,4 ათასი ლარით)

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის 2021 წლის ექვსი თვის საკუთარი შემოსულობების გეგმა (გადასახადები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) შესრულებულია 110,1 %-ით,

გეგმა განისაზღვრებოდა 3 972,4 ათას ლარით, ხოლო ფაქტიურად ექვს თვეში მუნიციპალიტეტმა საკუთარი შემოსულობებიდან მიიღო 4 374,9 ათასი ლარი, ე.ი. 402,5 ათასი ლარით მეტი.

გადასახადებში მუნიციპალიტეტს საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი 3 455,4 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 4 061,4 ათასი ლარი, მათ შორის ქონების გადასახადი დაგეგმილი 200,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 1 291,7 ათასი ლარი, 1 091,7 ათასი ლარით მეტი, რაც მთლიანად არის გამოწვეული უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავლებით.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან ექვს თვეში მუნიციპალიტეტს დააკლდა 455,4 ათასი ლარი, დაგეგმილი 3 255,1 ათასი ლარის ნაცვლად მიღებული გვაქვს 2 769,7 ათასი ლარი.

ექვს თვეში მთლიანი გადასახადების გეგმა შესრულებულია 117,5 %-ით და გეგმის ზევით მობილიზებულია 606,3 ათასი ლარი;

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები ექვს თვეში დაგეგმილი იყო 4 201,8 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულმა ტრანსფერმა შეადგინა 2 242,7 ათასი ლარი. აქედან მიზნობრივი ტრანსფერი მიღებულია სრულად 428,6 ათასი ლარი, მ. შ. მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის 358,4 ათ. ლარი და საზღვანდაცვისა და სამხედრო სამსახურის უფლებამოსილებების განხორციელებისათვის 70,2 ათასი ლარი.

კაპიტალური ტრანსფერი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაგეგმილი 3 772,9 ათასი ლარიდან მიღებულია 1 814,1 ათასი ლარი, მ. შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 1 356,2 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ფონდიდან 120,0 ათასი ლარი და სპეციალური ტრანსფერით 337,9 ათასი ლარი. კაპიტალური ტრანსფერის გეგმის შეუსრულებლობა როგორც ყოველთვის მთლიანად გამოწვეულია, იმით რომ დაგეგმვა და ვალდებულებების აღება ხდება დადებული ხელშეკრულებების მიხედვით, ხოლო თანხის

| | | | | | | | | | | | | | | |
|--------------|--|----------------|-------------|----------------|----------------|--------------|----------------|----------------|--------------|--------------|----------------|--------------|--------------|-------------|
| 03 02 | ნარგავების მოვლა-პატრონობა | 172,0 | 0,0 | 172,0 | 179,2 | 0,0 | 179,2 | 91,9 | 0,0 | 91,9 | 89,7 | 0,0 | 89,7 | 97,6 |
| 03 03 | უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები | 8,0 | 0,0 | 8,0 | 10,4 | 0,0 | 10,4 | 7,9 | 0,0 | 7,9 | 4,8 | 0,0 | 4,8 | 60,8 |
| 04 00 | განათლება | 1 795,0 | 0,0 | 1 795,0 | 2 308,1 | 528,7 | 1 779,5 | 1 484,2 | 528,7 | 955,6 | 1 368,0 | 483,6 | 884,3 | 92,2 |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 1 580,0 | 0,0 | 1 580,0 | 1 580,0 | 0,0 | 1 580,0 | 850,5 | 0,0 | 850,5 | 781,0 | 0,0 | 781,0 | 91,8 |
| 04 02 | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | 25,0 | 0,0 | 25,0 | 18,9 | 10,9 | 8,0 | 18,9 | 10,9 | 8,0 | 8,0 | 0,0 | 8,0 | 42,4 |
| 04 03 | მოსწავლეთა ტრანსპორტის რეგისტრაციის მომსახურების პროგრამა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 400,6 | 400,6 | 0,0 | 400,6 | 400,6 | 0,0 | 398,5 | 398,5 | 0,0 | 99,5 |
| 04 04 | სკოლების რეაბილიტაცია | 0,0 | 0,0 | 0,0 | 118,7 | 117,2 | 1,5 | 118,7 | 117,2 | 1,5 | 86,6 | 85,2 | 1,5 | 73,0 |
| 04 05 | (ინტერნატი) | 80,0 | | 80,0 | 80,0 | | 80,0 | 40,2 | | 40,2 | 39,1 | | 39,1 | 97,2 |
| 04 06 | (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი) | 110,0 | 0,0 | 110,0 | 110,0 | 0,0 | 110,0 | 55,4 | 0,0 | 55,4 | 54,8 | 0,0 | 54,8 | 98,9 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 1 291,7 | 0,0 | 1 291,7 | 1 323,6 | 2,3 | 1 321,3 | 664,3 | 0,0 | 664,3 | 617,4 | 0,0 | 617,4 | 92,9 |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებები | 10,0 | 0,0 | 10,0 | 10,0 | 0,0 | 10,0 | 5,2 | 0,0 | 5,2 | 0,4 | 0,0 | 0,4 | 7,8 |
| 05 01 02 | სპორტისა და შიდა ტურნიშტის ხელშეწყობა | 376,0 | 0,0 | 376,0 | 376,0 | 0,0 | 376,0 | 187,3 | 0,0 | 187,3 | 180,7 | 0,0 | 180,7 | 96,5 |
| 05 01 03 | სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა ალტურა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 8,6 | 0,0 | 8,6 | 8,6 | 0,0 | 8,6 | 0,4 | 0,0 | 0,4 | 4,7 |
| 05 02 01 01 | სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა | 125,0 | 0,0 | 125,0 | 125,0 | 0,0 | 125,0 | 62,8 | 0,0 | 62,8 | 60,5 | 0,0 | 60,5 | 96,3 |
| 05 02 01 02 | კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა | 653,0 | 0,0 | 653,0 | 674,0 | 0,0 | 674,0 | 332,8 | 0,0 | 332,8 | 322,8 | 0,0 | 322,8 | 97,0 |
| 05 02 01 03 | ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა | 20,7 | 0,0 | 20,7 | 20,7 | 0,0 | 20,7 | 10,4 | 0,0 | 10,4 | 10,4 | 0,0 | 10,4 | 99,5 |
| 05 02 02 | კულტურის ღონისძიებების დაფინანსება | 7,0 | 0,0 | 7,0 | 7,0 | 0,0 | 7,0 | 3,6 | 0,0 | 3,6 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 03 | მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა | 50,0 | 0,0 | 50,0 | 50,0 | 0,0 | 50,0 | 28,0 | 0,0 | 28,0 | 26,9 | 0,0 | 26,9 | 95,9 |
| 05 02 03 | კულტურის ობიექტების ალტურა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 2,3 | 2,3 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | |
| 05 04 | რელიგიური ორგანიზაციები | 30,0 | 0,0 | 30,0 | 30,0 | 0,0 | 30,0 | 15,0 | 0,0 | 15,0 | 15,0 | 0,0 | 15,0 | 100,0 |
| 05 05 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 20,0 | 0,0 | 20,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 | 10,6 | 0,0 | 10,6 | 0,3 | 0,0 | 0,3 | 2,8 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1 105,4 | 74,0 | 1 031,4 | 1 184,8 | 75,3 | 1 109,5 | 604,0 | 38,8 | 565,2 | 522,1 | 36,5 | 485,5 | 86,4 |
| 06 01 | საზოგადოებრივი რივანმრთელობის დაცვა | 130,4 | 73,0 | 57,4 | 147,4 | 73,0 | 74,4 | 78,7 | 36,5 | 42,2 | 72,5 | 36,3 | 36,2 | 92,1 |
| 06 02 | ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა ალტურა | 10,0 | 0,0 | 10,0 | 11,3 | 1,3 | 10,0 | 7,9 | 1,3 | 6,6 | 0,2 | 0,0 | 0,2 | 2,5 |

| | | | | | | | | | | | | | | |
|----------|--|-------|-----|-------|---------|-----|---------|-------|-----|-------|-------|-----|-------|-------|
| 06 03 | სოციალური დაცვა | 965,0 | 1,0 | 964,0 | 1 026,1 | 1,0 | 1 025,1 | 517,5 | 1,0 | 516,5 | 449,4 | 0,3 | 449,1 | 86,8 |
| 06 03 01 | სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა | 380,0 | 0,0 | 380,0 | 406,3 | 0,0 | 406,3 | 195,3 | 0,0 | 195,3 | 184,3 | 0,0 | 184,3 | 94,4 |
| 06 03 03 | შშმ პირთა დახმარების პროგრამა | 48,0 | 0,0 | 48,0 | 48,0 | 0,0 | 48,0 | 23,5 | 0,0 | 23,5 | 14,8 | 0,0 | 14,8 | 63,2 |
| 06 03 04 | ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 120,0 | 0,0 | 120,0 | 151,8 | 0,0 | 151,8 | 91,8 | 0,0 | 91,8 | 91,6 | 0,0 | 91,6 | 99,7 |
| 06 03 05 | ლუიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება | 38,0 | 0,0 | 38,0 | 38,0 | 0,0 | 38,0 | 19,0 | 0,0 | 19,0 | 12,8 | 0,0 | 12,8 | 67,1 |
| 06 03 06 | მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა | 12,0 | 0,0 | 12,0 | 12,0 | 0,0 | 12,0 | 6,0 | 0,0 | 6,0 | 5,2 | 0,0 | 5,2 | 86,7 |
| 06 03 07 | მარტოხელა შრომლების დახმარების პროგრამა | 3,0 | 0,0 | 3,0 | 3,0 | 0,0 | 3,0 | 3,0 | 0,0 | 3,0 | 0,8 | 0,0 | 0,8 | 26,7 |
| 06 03 08 | მარჩენალდაკარგულთა დახმარების ქვეპროგრამა | 7,0 | 0,0 | 7,0 | 7,0 | 0,0 | 7,0 | 4,0 | 0,0 | 4,0 | 3,4 | 0,0 | 3,4 | 85,0 |
| 06 03 09 | ყოველთვიური დახმარების პროგრამა | 44,0 | 0,0 | 44,0 | 44,0 | 0,0 | 44,0 | 21,3 | 0,0 | 21,3 | 18,2 | 0,0 | 18,2 | 85,2 |
| 06 03 10 | საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ოშში დაღუპულთა დახმარების პროგრამა | 9,0 | 0,0 | 9,0 | 9,0 | 0,0 | 9,0 | 4,0 | 0,0 | 4,0 | 4,0 | 0,0 | 4,0 | |
| 06 03 11 | ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა | 2,0 | 0,0 | 2,0 | 2,0 | 0,0 | 2,0 | 1,0 | 0,0 | 1,0 | 1,0 | 0,0 | 1,0 | 100,0 |
| 06 03 12 | სადღესასწაულო დღეების დახმარება | 24,0 | 0,0 | 24,0 | 24,0 | 0,0 | 24,0 | 24,0 | 0,0 | 24,0 | 22,9 | 0,0 | 22,9 | 95,2 |
| 06 03 13 | სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სანიტუარო მომსახურების პროგრამა | 10,0 | 0,0 | 10,0 | 10,0 | 0,0 | 10,0 | 4,8 | 0,0 | 4,8 | 3,6 | 0,0 | 3,6 | 75,0 |
| 06 03 14 | უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების მასალით დახმარების პროგრამა | 5,0 | 0,0 | 5,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | |
| 06 03 15 | ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა | 25,0 | 0,0 | 25,0 | 25,0 | 0,0 | 25,0 | 13,0 | 0,0 | 13,0 | 9,4 | 0,0 | 9,4 | 72,3 |
| 06 03 16 | გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა | 1,0 | 1,0 | 0,0 | 1,0 | 1,0 | 0,0 | 1,0 | 1,0 | 0,0 | 0,3 | 0,3 | 0,0 | 25,0 |
| 06 03 17 | სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება | 100,0 | 0,0 | 100,0 | 103,0 | 0,0 | 103,0 | 19,0 | 0,0 | 19,0 | 16,5 | 0,0 | 16,5 | 86,8 |
| 06 03 18 | უფასო სახაფილო | 107,0 | 0,0 | 107,0 | 107,0 | 0,0 | 107,0 | 64,7 | 0,0 | 64,7 | 55,5 | 0,0 | 55,5 | 85,8 |
| 06 03 19 | სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა | 5,0 | 0,0 | 5,0 | 5,0 | 0,0 | 5,0 | 4,0 | 0,0 | 4,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 06 03 | გადაუდებელი რეაგირების | 20,0 | 0,0 | 20,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 | 10,0 | 0,0 | 10,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | |

| | | | | | | | | | | | | | | |
|----------|---|-----|-----|-----|------|-----|------|-----|-----|-----|-----|-----|-----|------|
| 20 | საგარეო ურთიერთობების | 200 | 200 | 200 | 200 | 200 | 200 | 200 | 200 | 200 | 200 | 200 | 200 | 0,0 |
| 06 03 21 | ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება | 5,0 | 0,0 | 5,0 | 10,0 | 0,0 | 10,0 | 8,0 | 0,0 | 8,0 | 5,2 | 0,0 | 5,2 | 65,0 |

წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების გათვალისწინებით დაზუსტებული ბიუჯეტი გახდა 20 803,5 ათასი ლარი, გადასახდელების გეგმა გაიზარდა 11 713,4 ათასი ლარით, მ. შ. 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სასრებიდან 8 485,7 ათასი ლარი და წინა წლების ნაშთებიდან 3 227,7 ათასი ლარი, აქედან სახ. ფონდების ნაშთი 2 472,2 ათ. ლარი, წინა წელს გაცემული და მიმდინარე წელს დაბრუნებული სახსრები 415,3 ათასი ლარი და საკ. სახსრების ნაშთი 340,2 ათ. ლარი.

ექვსი თვის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განისაზღვრა 11 187,3 ათასი ლარი, ფაქტიურად გაწეულია 7 260,8 ათასი ლარი, გადასახდელები დაფინანსებულია 64,9 %-ით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2021 წლის ექვს თვეში ხარჯები გაზრდილია 1 576,7 ათასი ლარით, გასული წლის ექვს თვეში მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული იყო 5 684,1 ათასი ლარი.

ხარჯების ზრდა ძირითადად ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ფაქტიური დანახარჯების გაზრდით არის გამოწვეული.

ექვს თვეში გაწეული დანახარჯებიდან სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდების ხარჯზე დაფინანსებულია 3 206,4 ათასი ლარი და საკუთარი სახსრებით 4 054,4 ათასი ლარი.

1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებაზე - პროგრამული კოდი 01 00 დაგეგმილი 1 362,9 ათასი ლარიდან გაწეულია 1 198,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 87,9 %-ით.

მ.შ.

- 01 01 01 მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები ექვს თვეში განსაზღვრული 323,5 ათასი ლარიდან გაწეულია 309,9 ათასი ლარი და დაფინანსებულია 95,8 პროცენტით.

- 01 01 02 მუნიციპალიტეტის მერიის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 943,5 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 818,0 ათასი ლარი და დაფინანსებულია 86,7 პროცენტით;

- 01 01 03 სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ დაგეგმილი 41,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 32,4 ათასი ლარი, მ.შ. 27,0 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით და 5,4 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

01 02 01 - მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან 2021 წლის ექვს თვეში თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე მერის ბრძანებით გამოიყო 10,8 ლარი, მათ შორის:

- 6,3 ათასი ლარი მიმართული სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარებაზე - პროგრამული კოდი 06 03 01;

- 1,5 ათასი ლარი მიმართულია ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე - პროგრამული კოდი 06 03 04.

- 3,0 ათასი ლარი მიმართულია სტიქიის შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარებაზე - პროგრამული კოდი 06 03 17.

-01 02 03 ვალდებულებების მომსახურებაზე მუნიციპალიტეტმა მუნიციპალური განვითარების ფონდს გადაურიცხა კუთვნილი სავადო გადასახდელი 38,2 ათასი ლარი, აქედან 25,5 ათასი ლარი სესხის და 12,7 ათასი ლარი პროცენტის სახით.

2. ინფრასტრუქტურის განვითარება პროგრამული კოდი 02 00 2021 წლის ექვსი თვის შედეგების მიხედვით დაგეგმილი 6 468,8 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 3 049,6 ათასი ლარით, რაც გასული წლის ექვსი თვის მონაცემებს 1 074,6 ათასი ლარით აღემატება და დაფინანსებულია 47,1 %-ით. გასულ წლის შესაბამის პერიოდში აღნიშნულ პრიორიტეტზე დახარჯული იყო მხოლოდ 1 975,0 ათასი ლარი.

- 02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე პროგრამული კოდი 02 01 დაგეგმილი 5 798,4 ათასი ლარიდან დახარჯულია 2 788,7 ათასი ლარი, 48,1 %. მათ შორის:

02 01 01 გზების კაპიტალურ შეკეთებაზე მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი 5 278,8 ათასი ლარიდან, ვალდებულება აღებულია 5 177,3 ათას ლარზე და ფაქტიურად დახარჯულია 2 525,7 ათასი ლარი, აქედან 2 337,7 ათასი ლარი სახ. ფონდებით და 188,0 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

02 01 02 გზების მიმდინარე შეკეთებაზე დაგეგმილი 100,3 ათასი ლარიდან, საკუთარი სახსრებით აღებულია 71,3 ათასი ლარის ვალდებულება და გადარიცხულია 57,7 ათასი ლარი.

02 01 04 ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 409,1 ათასი ლარიდან აღებულია 363,9 ათასი ლარის ვალდებულებები, აქედან 333,4 ათ. ლარი მთლიანად სახ. ფონდების სახსრებით და ფაქტიურად გადარიცხულია 198,6 ათასი ლარი; საკ. სახსრებით ექვს თვეზე აღებულია 30, 6 ათასი ლარის ვალდებულება და გადარიცხულია 3,9 ათასი ლარი.

02 01 05 მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად დაგეგმილი 10,2 ათასი ლარიდან ექვს თვეში აღებულია 5,9 ათასი ლარის ვალდებულება და ფაქტიურად გადარიცხულია 2,8 ათასი ლარი.

- 02 02 წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე ექვს თვეში დაგეგმილი 55,7 ათასი ლარიდან ფაქტიურად გაწეულია 25,2 ათასი ლარი, 45,2 %, მათ შორის უშუალოდ წყლის სისიტემის მოსაწესრიგებლად საკუთარი სახსრებით აღებულია 33,3 ათასი ლარის ვალდებულება და გაწეულია 19,5 ათასი ლარის ხარჯი, სახ. ფონდებით კი აღებულია 5,7 ათასი ლარის ვალდებულებ ადა გადარიცხულია მთლიანად.

- 02 03 გარე განათების სუბსიდირებაზე დაგეგმილი 117,2 ათასი ლარიდან ათასი ლარიდან დახარჯულია 104,4 ათასი ლარი;

- 02 08 სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 2021 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 1 183,6 ათასი ლარი, აქედან მიმდინარე წელს მუნიციპალიტეს გამოეყო 890, 0 ათ. ლარი, 31,4 ათასი ლარი არის წინა წლის პროგრამის ნაშთი, ხოლო 262,2 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით არის გათვალისწინებული. ექვს თვეში დაგეგმილი 483,2 ათასი ლარიდან ვალდებულება აღებულია 471,5 ათ. ლარზე, ფაქტიურად გაწეულია 131,2 ათასი ლარი, აქედან საკუთარი სახსრებით 14,2 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 117,1 ათასი ლარი.

3. 03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვაზე ექვს თვეში დაგეგმილი 603,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 505,3 ათ. ლარი, დაფინანსებულია 83,8 % -ით და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დახარჯულია 57,7 ათასი ლარით მეტი. მ. შ სამივე პროგრამის გამნახორციელებელი არის ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება,

რომლის მიერ

03 01 დასუფთავებისა და ნარჩენების გატანაზე დაგეგმილი 503,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 410,7 ათასი ლარი;

03 02 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე 91,9 ათასი ლარიდან 89,7 ათასი ლარი;

03 03 უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებისათვის 7,9 ათასი ლარიდან 4,8 ათასი ლარი.

4. 04 00 განათლებაზე 2021 წლის ექვს თვეში გათვალისწინებული 1 484,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 368,0 ათასი ლარი და დაფინანსებულია 92,0 %-ით, განათლების დაფინანსებაზე მიმდინარე წლის ექვს თვეში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაწეულია 453,2 ათასი ლარით მეტი ხარჯი. გასული წლის ექვს თვეში განათლებას მოხმარდა 914,8 ათასი ლარი;

მ.შ.

04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაზე ა(ა)იპ ე. კიკნაძის სახ. სკოლამდელი დაწესებულებათა გაერთიანების მიერ დაგეგმილი 850,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 781,0 ათასი ლარი;

04 02 სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციაზე - დაგეგმილი 18,9 ათ. ლარიდან აღებულია საკ. სახსრებით ვალდებულება 8,0 ათასი ლარზე და გადარიცხულია სრულად,

04 03 მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურებაზე 400,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 398,5 ათ. ლარი;

04 04 სკოლების რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 118,7 ათასი ლარიდან წინა წლების სახელმწიფო ფონდების ნაშთებით აღებულია ვალდებულება 103,5 ათ. ლარზე და გადარიცხულია 85,2 ათასი ლარი. საკუთარი სახსრებით 1,5 ათასი ლარის ვალდებულება საექსპერტიზო მომსახურებაზე სრულად არის ანაზღაურებული.

04 05 ზოგადი განათლების ხელშეწყობაზე სსიპ ბორის საჯარო სკოლამ (ინტერნატი) ექვს თვეში დაგეგმილი 40,2 ათასი ლარიდან აითვისა 39,1 ათასი ლარი.

04 06 სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობაზე დაგეგმილი 55,4 ათასი ლარიდან 54,8 ათასი ლარი.

5. 05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტზე დაგეგმილი 664,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 617,4 ათასი ლარი და დაფინანსებულია 92,9 პროცენტით, გასულ წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მიმდინარე წელს აღნიშნულ პროგრამის დაფინანსებას მოხმარდა 19,1 ათასი ლარით ნაკლები, რადგან შეზღუდული იყო სპორტული და კულტურულ ღონისძიებები. გასული წლის ექვს თვეში აღნიშნულ პროგრამაზე დახარჯულია 636,5 ათასი ლარი.

მ. შ.

05 01 01 სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე 5,2 ათასი ლარის ნაცვლად დახარჯულია მხოლოდ 0,4 ათასი ლარი;

05 01 02 სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობაზე ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის

ცენტრის მიერ დაგეგმილი 187,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 180,7 ათასი ლარი;

05 01 04 სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა, აღჭურვაზე საინჟინრო მონიტორინგისათვის გათვალისწინებული 8,6 ათასი ლარიდან დახარჯულია მხოლოდ 0,4 ათასი ლარი.

05 02 01 01 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობაზე ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის მიერ დაგეგმილი 62,8 ათასი ლარიდან დაიხარჯა 60,5 ათასი ლარი.

05 02 01 02 კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობაზე, ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიერ დაგეგმილი 332,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 322,8 ათასი ლარი.

05 02 01 03 ფოლკლორის ხელშეწყობის დაფინანსებაზე გეგმით და ფაქტიურად 10,4 ათასი ლარი, 100%;

05 02 02 კულტურის ღონისძიებების დაფინანსებაზე 3,6 ათასი ლარიდან მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხარჯები არ გაწეულა.

05 03 მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების პროგრამაზე ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის მიერ 28,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 26,9 ათასი ლარი.

05 04 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობაზე გადარიცხულია დაგეგმილი 15,0 ათასი ლარი სრულად არის გადარიცხული.

05 05 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 10,6 ათასი ლარიდან დახარჯულია მხოლოდ 0,3 ათასი ლარი.

6. 06 00 ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ უზრუნველყოფის პროგრამაზე ექვს თვეში დაგეგმილი 604,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 522,1 ათასი ლარი და დაფინანსებულია 86,4 % - ით. ამ პროგრამით მიმდინარე წელს გასულის წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 32,0 ათასი ლარით ნაკლები იქნა გაწეული, 2020 წლის ექვს თვეში 554,1 ათასი ლარი იქნა გაწეული.

აქედან:

06 01 საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ დაგეგმილი 78,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 72,5 ათასი ლარი, მ. შ. 36,3 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით და 36,2 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით.

06 02 ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა და აღჭურვაზე დაგეგმილი 7,9 ათასი ლარიდან დახარჯულია მხოლოდ 0,2 ათასი ლარი;

06 03 სოციალურ პროგრამებით დამტკიცებული ბიუჯეტი განისაზღვრებოდა 965,0 ათასი ლარი, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შემდეგ აღნიშნული ქვეპროგრამა გაიზარდა 61,1 ათასი ლარით და განისაზღვრა 1026,1 ათასი ლარით. ექვს თვეში დაგეგმილი 517,5 ათასი ლარიდან ათვისებულია 449,4 ათასი ლარი და დაფინანსებულია 86,8 %-ით, გასულ წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სოციალური პროგრამებზე გაწეული ფაქტიური ხარჯები შემცირებულია 41,5 ათასი ლარით, 2020 წლის ექვს თვეში საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით სოციალურ პროგრამებზე დახარჯულია 490,9 ათასი ლარი.

აქედან,

06 03 01 სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების ქვეპროგრამით დაზუსტებული 6 თვის გეგმა შეადგენს 195,3 ათ. ლარს. ანგარიშსწორება მოხდენილია 184,3 ათ. ლარზე. თუმცა, 6 თვეში გაცემულია 208,7 ათასი ლარის ადმინტრაციული დაპირება, რომელზეც ეტაპობრივად მოდის შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ანგარიშსწორებაც ხდება ვადების დაცვით.

06 03 03 შშმპ დახმარება გეგმა - 23.5 ათ. ლარი, შესრულება - 14,8 ათ. ლარი. გეგმა შესრულებულია 63,2 %-ით. 6 თვეში გაცემული გაცემული ადმინტრაციული დაპირება, რომელზეც ველოდებით შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელ დოკუმენტაციას, შეადგენს 5,0 ათ. ლარს.

06 03 04 ერთჯერადი ფინანსური დახმარების გეგმა 6 თვეში შესრულებულია 99,7 %-ით და დახარჯულია 91,6 ათასი ლარი.

06 03 05 ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება გეგმა შესრულებულია 67,1 %-ით და 19,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 12,8 ათასი ლარი. აუთვისებლობა გამოწვეულია დიალიზზე მყოფი სამი პირის და ლეიკემიით დაავადებული ერთი პირის გარდაცვალებით.

06 03 06 მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება გეგმა 6,0 ათასი ლარი, ფაქტიური ხარჯი _ 5,2 ათასი ლარი. ათვისებულია 86,7%-ით.

06 03 07 მარტოხელა მშობლების დახმარება გეგმა 3.0 ათ. ლარი, ფაქტი 0.8 ათ. ლარი. ეკონომია გამოწვეულია განცხადებების არარსებობით, დაუკმაყოფილებელი განცხადება არ არის.

06 03 08 მარჩენალდაკარგულთა დახმარება გეგმა 4,0 ათასი ლარი, ფაქტიურად დახარჯულია 3,4 ათასი ლარი. დაუკმაყოფილებელი განცხადება არ არის.

06 03 09 ყოველთვიური დახმარება გეგმა - 23,1 ათ. ლარი. ფაქტი - 18.2 ათ. ლარი. ქვეპროგრამა მოიცავს სამი სამიზნე ჯგუფის დახმარებას. უსინათლოების, სამამულო ომის ვეტერანების და დევნილთა ოჯახების. ამათგან წლის განმავლობაში სამამულო ომის 3 ვეტერანი გარდაიცვალა, აღნიშნული ღონისძიებით მოსარგებლეთა რიცხვი არასტაბილურია, რამაც გამოიწვია ეკონომია.

06 03 10 ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპილთა ოჯახების დახმარება გეგმა შესრულებულია 100 %-ით და გაცემულია 4,0 ათასი ლარის დახმარება.

06 03 11 ხანდაზმულთა დახმარების ქვეპროგრამა ასევე დაფინანსებულია სრულად და გაცემულია 1,0 ათ. ლარი.

06 03 12 სადღესაწაულო დღეების დახმარება დაგეგმილი 24.0 ათ. ლარიდან ათვისებულია 22,9 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ერთმა ბენეფიციარმა დაგვიანებით წარმოადგინა დოკუმენტაცია, რის გამოც ჩარიცხვა მოხდა მესამე კვარტალში.

06 03 13 სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება _ გეგმა 4,8 ათ. ლარი, ფაქტი - 3,6 ათ. ლარი. გეგმა შესრულებულია 75 %-ით. ბრძანების გაცემის დროისთვის გასაცემ თანხას აკლდა 200 ლრი, რის გამოც ჩარიცხვა განხორციელდა მესამე კვარტალში.

06 03 15 ახალშობილთა ოჯახების დახმარება _ გეგმა შესრულებულია 72,3 %-ით. 27,7 %-იანი აუთვისებლობა გამოწვეულია დაუსრულებელი განცხადებებით, რომლის ნაწილის დასრულებაც მოხდა ივნისის ბოლო დღეებში.

06 03 17 სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება გეგმა 19,0 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება 16,5 ათ. ლარი. შესრულება 86,8%. სტიქიის შემსწავლელი კომისიის დებულებაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, რომელიც საკრებულომ დაამტკიცა 5 ივლისის დადგენილებით, შეიცვალა კომისიის შემადგენლობა, დებულება და ასევე, მიმდინარეობს ხანდაზმული განცხადებების განმეორებითი შემოწმება. ახალი დებულების პირობებში მიმდინარე კვარტალში კომისია იმუშავებს მაქსიმალური დატვირთვით.

06 03 19 სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. გეგმა არ არის ათვისებული, თუმცა, დღეის მდგომარეობით მიღებულია ანგარიშ-ფაქტურა და მიმდინარეობს ანგარიშსწორებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მოწესრიგება.

06 03 20 გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამით არ არის თანხა ათვისებული. ამ ეტაპზე ქვეპროგრამის ფარგლებში განსახილველი განცხადება არ არის.

06 03 21 ვეტერანთა დახმარება _ გეგმა 8,0 ათ. ლარი. ფაქტი 5,2 ათ. ლარი. ამ ეტაპზე დაუკმაყოფილებელი განცხადება არ არის.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის ექვს თვეში გაწეული 7 260,8 ათასი ლარის დანახარჯებიდან მიმდინარე ხარჯების დაფინანსებაზე გაწეულია 4 284,3 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე 2 951,0 ათასი ლარი და ვალდებულებების მომსახურებაზე 25,5 ათასი ლარი.

მთლიან დანახარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდის წილი შეადგენს - 40,6%.

მიმდინარე დანახარჯებიდან შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 811,8 ათასი ლარი ანუ ხარჯების 18,9 %;

საქონელზე და მომსახურებაზე 854,2 ათასი ლარი - 19,9 %;

პროცენტი 12,7 ათასი ლარი - 0,3 %;

სუბსიდირებაზე 2 143,6 ათ. ლარი - 50,0 %;

გრანტებზე 10,4 ათ. ლარი - 0,2 %;

სოციალურ უზრუნველყოფაზე 388,7 ათ. ლარი - 9,1%;

სხვა ხარჯები 62,9 ათ. ლარი - 1,5 %;

საქონელი და მომსახურების ხარჯებიდან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 134,6 ათასი ლარი;

მივლინების ხარჯების ანაზღაურებაზე 4,4 ათასი ლარი;

საოფისე ხარჯების გაწევაზე 66,7 ათასი ლარი;

წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურებაზე 2,4 ათასი ლარი;

სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე 467,3 ათასი ლარი, მ. შ. სახ. ბიუჯეტის

ფონდიდებით მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე 398,5 ათასი ლარი და 68,8 ათ. ლარი უშუალოდ სატრანსპორტო ხარჯებზე.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე 177,4 ათასი ლარი.

ვლადიმერ გელაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-სამსახურის უფროსი